არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება

№072/01 2018 წლის 5 დეკემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის
კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 35-ე მუხლის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის 3 ნაწილის, მე-14 მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 ნაწილის „ბ“, „ე“, „ვ“ და „ლ“ პუნქტისა და მე-4 ნაწილის შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების ასლი გამოქვეყნდეს საჯაროდ.
3. ეს ბრძანება თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შესასრულებლად გადაეგზავნოთ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს/პერსონალს.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პროფესორი, არქიმანდრიტი ადამი
(ვახტანგ ახალაძე)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის
კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი ეფუძვნება:

1. კვლევითი/შემოქმედებითი პროექტის (კვლევის დაგეგმვის ფაზა) ექსპერტული შეფასების შედეგებს:

კვლევითი/შემოქმედებითი პროექტის (განაცხადი) შემოტანის შემდეგ კვლევის/შემოქმედებითი პროექტი იგზავნება ექსპერტ(ებ)თან შეფასების მიზნით, რომელიც აფასებს:

- დაგეგმილი კვლევის/შემოქმედებითი პროექტის აქტუალობასა და/ან სიახლეს;
- კვლევის/შემოქმედებითი პროექტის დიზაინის და მეთოდოლოგიის ადექვატურობას;
- კვლევის/შემოქმედებითი პროექტის მოსალოდნელი შედეგების თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას.

ექსპერტთა დადებით შეფასების შემდგომ ხდება მისი უნივერსიტეტის სენატისათვის წარდგენა, რომელიც აფასებს:

- პრობლემის/საკითხის აქტუალობას;
- კვლევის/შემოქმედებითი პროექტის მიზნებს და ამოცანებს;
- კვლევის/შემოქმედებითი პროექტის მეთოდების ადექვატურობას;
- ეთიკურ ასპექტებს;
- კვლევის/შემოქმედებითი პროექტის თეორიულ და/ან პრაქტიკულ ღირებულებას.

კვლევის/შემოქმედებითი პროექტის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს ისმენს (პრობლემის არსებობის და/ან სხვა საჭიროების განსაზღვრის მიზნით) და კვლევის/შემოქმედებითი პროცესის პროგრესს მონიტორინგს უწევს უნივერსიტეტის სენატი (საკითხვის განხილვა შესაბამისად ოქმდება).

2. კვლევით/შემოქმედებითი პროცესით მიღებული შედეგების გამოქვეყნებისთანავე მიზანშეწონილობის შეფასებას:

დასაბეჭდად მისაღებად ხდება peer-review შეფასება; ხარისხის შეფასებისთვის მიღებული მტკიცებულებაა რეფერირებად ჟურნალებსა და PubMed-ში გამავალი სხვადასხვა იმპაქტ ფაქტორის ჟურნალებში გამოქვეყნება.

3. კვლევის/შემოქმედებითი პროექტის შედეგების პრაქტიკული გამოყენებისთვის რეკომენდაციის და/ან დანერგვის არსებობის შეფასებას:

კვლევის/შემოქმედებითი პროცესის შედეგების პრაქტიკული გამოყენების რეკომენდაციათა არსებობა, კვლევისკვლევის/შემოქმედებითი პროცესის შედეგების დანერგვა; ხარისხის შეფასებისთვის მიღებული მტკიცებულებაა ასეთის (რეკომენდაცია, დანერგვა) არსებობა.

4. კვლევით/შემოქმედებითი პროცესის საქმიანობის ხარისხის შეფასების სხვა მექანიზმებია:

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის და სტუდენტთა კვლევების/შემოქმედებითი პროცესების გარე (დონორიორგანიზაციების საგრანტო კონკურსით მიღებული) შეფასება. ასევე, მუშაობის სახეობები, მოცულობა, კონტროლის შესაბამისი ღონისძიებები.